ოკეანის მართვის გლობალური არქიტექტურა: ეკოლოგიური გამოწვევები და სამართლებრივი ჩარჩოები

მარიამ ცეცხლაძე

ელ-ფოსტა: mariam.tsetskhladze960@ens.tsu.edu.ge
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ოკეანე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიმატის რეგულირებაში, ასევე ბიომრავალ-ფეროვნების შენარჩუნებაში და ადამიანებისთვის რესურსების მიწოდებაში. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ოკეანე გამოწვევების წინაშეა — ბიომრავალფეროვნების შემცირება, ეკოსისტემების დეგრადაცია და რესურსების ზედმეტი ექსპლუატაცია ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების გადაშენების კრიზისის გაღრმავებას. ამ პირობებში, გლობალური მმართველობის ჩარჩოები, როგორიცაა გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია (UNCLOS), MARPOL-ის კონვენცია და მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), იღებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ნაშრომი იკვლევს ოკეანის მართვის საერთაშორისო სამართლებრივ და ინსტიტუციურ არქიტექტურას, მის ევოლუციას და არსებულ ხარვეზებს, აგრეთვე ლურჯი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების კონცეფციების ინტეგრაციას. განხილულია ევროკავშირის და გაეროს ძირითადი ინიციატივები, მათ შორის ღია ზღვების შეთანხმება (BBNJ, 2023). ნაშრომი ხაზს უსვამს მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული მმართველობის, გარემოსდაცვითი მდგრადობის და ეკონომიკური განვითარების ბალანსის მნიშვნელობას ოკეანის გლობალური მმართველობის ფარგლებში.